თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 15

ქ.თელავი 15. 11. 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''- ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე**, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოდან წარმომადგენელი **მამუკა გონგაძე**, მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების განხილვის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი

**მოისმინეს:** თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს თავმჯდომარემ **არჩილ თხლაშიძემ** ,კომისიის წევრებს წარუდგინა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ შემუშავებული, მუნიციპალიტეტის გერბის სამი ვარიანტი.

წარმოდგენილი ვარიანტების განხილვის შედეგად არცერთი ვარიანტი არ იქნა მოწონებული.

**ნანა ხვისტანმა** კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით გაგრძელდეს კონსულტაციები ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან საბოლოო ვარიანტის შემუშავებამდე.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენელმა **მამუკა გონგაძემ** განაცხადა რომ მუნიციპალიტეტის ძველი გერბიდან მოახდენდა სიმბოლოების გამოყენებას ახალი გერბის შესაქმნელად, რასაც მხარი დაუჭირა კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

**გადაწყვიტეს:** ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციების გზით მოხდეს მუნიციპალიტეტის გერბის ახალი ვარიანტის შემუშავება.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი